სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

28/05/2026

MES 1 26 0000631963

ბრძანება

თბილისი

2026 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 22 მაისის N 612787 ბრძანებაში ცვლილების შეტანისა და დამატების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N627372, 27/05/2026) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2026 წლის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 22 მაისის N 612787 ბრძანებაში და ამ ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი ერთის (კონკურსის პირობები)პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

"5. კონკურსი, ამასთანავე, ხელს უწყობს ევროკავშირის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის - „ჭკვიანი სპეციალიზაციის" („Smart Specialisation"/S3) - პრინციპების განხორციელებას და იმერეთის რეგიონისთვის „ჭკვიანი სპეციალიზაციის" მიმართულებებში მეცნიერების, ინოვაციებისა და შესაბამისი დარგების პოპულარიზაციას. კონკურსის პრიორიტეტული თემატური მიმართულებებია:

ა) ხე-ტყის, ხის ნაკეთობებისა და ავეჯის წარმოება;

ბ) ტანსაცმლის, ტყავის, ფეხსაცმლისა და ქსოვილების წარმოება.

აღნიშნული თემატური მიმართულებები ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2024 წლის 28 ოქტომბრის №374 დადგენილებით დამტკიცებულ „2024–2030 წლების ევროკავშირის ჭკვიანი სპეციალიზაცია (S3) იმერეთისთვის" განხორციელების 2024–2026 წლების სამოქმედო გეგმას."

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონულად